ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №4

22.12.2025 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

14:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. შოთა ქევხიშვილი - კომისიის წევრი;
3. ვალერიან პაპუაშვილი - კომისიის წევრი;
4. ლეილა კოლომიკოვი - კომისიის წევრი;
5. ბექა მენთეშაშვილი - კომისიის წევრი;
6. დავით ჭელიძე - კომისიის წევრი;
7. დავით ხაბეიშვილი - კომისიის წევრი;
8. გიორგი გვენეტაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032534442-03; 10.12.2025)**

მომხსენებელი:

- **გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **ლევან მიქავა** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომა წარიმართა გაერთიანებული სხვა კომისიებთან ერთად.

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032534442-03; 10.12.2025):**

გ.თალაკვაძე - პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 2 193 388,7 ათასი ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 983 178,0 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 219 823,3 ათასი ლარით, ხოლო 2026 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან (2 082 482,2 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 110 906,5 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარება - **696 339,7 ათასი** ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (685 915,7 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 10 424,0 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (656 339,7 ათასი ლარი) მიმართებაში - 40 000,0 ათასი ლარით მეტია;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - **305 931,3 ათასი** ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (246 495,3 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 59 436,0 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (278 531,3 ათასი ლარი) შედარებით - 27 400,0 ათასი ლარით მეტია;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - **314 760,6 ათასი** ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (263 120,9 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 51 639,7 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (292 760,6 ათასი ლარი) მიმართებით - 22 000,0 ათასი ლარით მეტია;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - **3 079,5 ათასი** ლარით, რაც პირველად პროექტთან მიმართებაში უცვლელია;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - **62 491,3 ათასი** ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (47 491,3 ათასი ლარი) და პირველ წარდგენილ პროექტთან (47 491.3 ათასი ლარი) მიმართებაში - 15 000,0 ათასი ლარით მეტია;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - **185 152.3 ათასი** ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (165 575,2 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 19 577,1 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (182 384,4 ათასი ლარი) მიმართებაში - 2 767,9 ათასი ლარით მეტია;
- განათლება - **303 331,6 ათასი** ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (261 539,9 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 41 791,7 ათასი

ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (300 602,4 ათასი ლარი) მიმართებაში 2 729,2 ათასი ლარით მეტია;

- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - **50 558,8 ათასი** ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (39 294,0 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 11 264,8 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (50 558,8 ათასი ლარი) მიმართებაში უცვლელია;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - **13 196,7 ათასი** ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (15 779,2 ათასი ლარი) შედარებით შემცირებულია 2 582,5 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (13 196,7 ათასი ლარი) უცვლელია;
- ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 258 546,9 ათასი ლარი, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (254 887,0 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 3 659,9 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (257 537,5 ათასი ლარი) მიმართებაში 1 009,4 ათასი ლარით მეტია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 123 388,7 ათასი ლარის ოდენობით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (1 903 178,0 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 220 210,7 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის პირველ ვერსიასთან (2 012 482,2 ათასი ლარი) შედარებით 110 906,5 ათასი ლარით. მათ შორის: გადასახადები 1 022 413,6 ათასი ლარი, რაც 2025 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (987 349,2 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 35 064,4 ათასი ლარით, ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში 5 138,6 ათასი ლარით მეტია. გრანტები **660 031,1 ათასი** ლარი, რაც 2025 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (594 174,6 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 66 261,5 ათასი ლარით (ძირითადად კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის ხარჯზე), ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 52 767,9 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: - სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი - 50 000,0 ათასი ლარით მეტია. ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შეადგენს 2 193 388,7 ათას ლარს.

2026 წლისათვის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 37 570,9 ათას ლარით, რაც ნიშნავს რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი არის **პროფიციტური.**

ბიუჯეტის პროექტის თანახმად, **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენის პრიორიტეტის ასიგნებები შეადგენს - 696 339,7 ათას ლარს,** რაც 2025

წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (685 915,7 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 10 424,0 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (656 339,7 ათასი ლარი) მიმართებაში - 40 000,0 ათასი ლარით მეტია. პრიორიტეტის ფარგლებში **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთების პროგრამა (პროგრამის კოდი 01 01)** განსაზღვრულია 132,856.0 ათასი ლარით. რაც პირველად ბიუჯეტთან შედარებით 30 000 000 ლარით მეტია. აღნიშნული თანხით დაფინანსდება **რუსთაველის გამზირის** სარეაბილიტაციო სამუშაოები. სარეაბილიტაციო სამუშაოების დანიშნულებაა უზრუნველყოს უსაფრთხო სატრანსპორტო კავშირი ქალაქის დანარჩენ საგზაო ქსელთან, კომფორტული გახადოს ავტომობილით და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრების გადაყვანა. საპროექტო მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 1442 მეტრს.

ტრანსპორტის განვითარების (პროგრამის კოდი 01 02) პროგრამის ასიგნებები პირველად ვერსიასთან შედარებით 10 000 000 ლარით მეტია და 563 483.7 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული 10 000 000 ლარი მიმართულია ახალი ქვეპროგრამის - **სამგორი-ვაზისუბნის საბაგიროს გზის მშენებლობის (კოდი 01 02 06)** დასაფინანსებლად. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სამგორის რაიონში არსებული ძველი სამგზავრო საბაგირო გზის (სამგორი-ვაზისუბნის საბაგირო გზა) დემონტაჟი და ახალი თანამედროვე საბაგირო გზის მშენებლობისათვის აუცილებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოები ე.წ. Design-Build (DB) მეთოდით. საბაგირო გზის საორიენტაციო სიგრძე შეადგენს 850 მეტრს, საორიენტაციო გაჩერების რაოდენობა იქნება 2 სადგური, სავარაუდო გონდოლების რაოდენობა -14, საბაგიროს ერთი გონდოლის ტევადობა - 10 მგზავრი, პროექტის მიმდინარეობის თარიღად განსაზღვრულია 2026-2027 წწ.

2025 წელს ამოქმედდა **სადგურის მოედნისა და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის პროექტირება და მშენებლობის ქვეპროგრამა (კოდი 02 01 02)** - 2,500.0 ათასი ლარის ოდენობით. თუმცა, აღნიშნული ქვეპროგრამისთვის თანხა არ იყო გათვალისწინებული 2026 წლის ბიუჯეტის პირველად ვერსიაში. წარმოდგენილ პროექტში, აღნიშნული ქვეპროგრამა დაფინანსებულია 10 000 000 ლარით. სადგურის მოედანი წარმოადგენს დედაქალაქის უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო ჰაბს, სადაც თავს იყრის 61 ავტობუსის მარშრუტი, მეტროს 2 ხაზი, ისევე როგორც საქართველოს რკინიგზის სერვისები. ტერიტორია ემსახურება საათში 330 ავტობუსის სერვისს, საიდანაც მომავალში გამოიყენებს 150 ხიდს. თბილისის სატრანსპორტო გეგმის თანახმად, სადგურის მოედანი ასევე იქნება თბილისის საგარეუბნო რკინიგზის სერვისების თავმოყრის წერტილი, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს გახდის მისი, როგორც სატრანსპორტო ჰაბის ფუნქციას. ხიდი იქნება ორზოლიანი, 280 მეტრი სიგრძის, 8.5 მეტრი სიგანის სწორ

მონაკვეთში, ხოლო 15 მეტრი სიგანის მოხვევის მონაკვეთში (ე.წ. ,,სპირალი", რომელიც ეშვება სადგურის მოედანზე). საავტომობილო ხიდი ითვალისწინებს 18 მეტრიანი ავტობუსების მართვის ტრაექტორიებს. საავტომობილო ხიდის გამტარობა შერეული ნაკადების პირობაში იქნება 800 ავტომობილი ერთ საათში ერთი მიმართულებით.

პროექტის თანახმად, **მცირდება** სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) - 133,7 ათასი ლარით, მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) (კოდი 10 23) - **1 161,4 ათასი** ლარით, თბილისის მეტროს სადგურების სესხის მომსახურება (კოდი 10 25) - **1 300,0 ათასი** ლარით, თბილისის მეტროს (მოძრავი შემადგენლობის განახლება) მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურება (AIIB) (კოდი 10 41) - **2 250,5 ათასი** ლარით.

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი ცხადჰყოფს, რომ აღნიშნული დოკუმენტი პასუხობს დედაქალაქის როგორც დღევანდელ საჭიროებებს, ასევე ქმნის საფუძველს მისი გრძელვადიანი განვითარებისთვის. ბიუჯეტით დაგეგმილი ღონისძიებების მიზანია თითოეული მოქალაქისათვის სტაბილური და უსაფრთხო გარემოს და გრძელვადიან პერიოდში თბილისის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლების შექმნა. 2026 წლის ბიუჯეტის გადამუშავებული პროექტით სატრანსპორტო პოლიტიკა კვლავ რჩება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, თბილისის მთავრობა აგრძელებს თანმიმდევრულ მუშაობას. დედაქალაქის ავტოპარკს არსებულ და ახალ მარშრუტებზე დაემატება 200 ერთეული ახალი ავტობუსი; განხორციელდება მეტროს მოძველებული და ამორტიზებული ვაგონების ჩანაცვლება - შესყიდული იქნება მეტროს 111 ვაგონი - 14 ოთხვაგონიანი და 11 ხუთვაგონიანი მატარებელი, მოხდება არსებული მეტროს სადგურების მოდერნიზაცია (ერთიანი კონცეფციითა და ბრენდინგით). ვაგონები ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, ეტლით მოსარგებლეები თვითონ შეძლებენ ვაგონში უსაფრთხოდ შესვლას და მგზავრობას, ახალი ვაგონები აღჭურვილი იქნება ჰაერის კონდინცირების სისტემით, რომელიც ევროპული სტანდარტების მიხედვით უზრუნველყოფს შიდა ტემპერატურის სრულ კონტროლს. მეტროს პირველ ხაზზე აშენდება ორი ახალი სადგური - ვარკეთილის და გლდანის; უზრუნველყოფილი იქნება ავტობაზების მოდერნიზება და თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით აღჭურვა; სრულად განახლდება ავტობუსის გაჩერებები და მოხდება მათი ადაპტირება შშმ პირების საჭიროებებთან. განვითარდება საბაგირო ტრანსპორტი და უზრუნველყოფილი იქნება მისი ინტეგრირება სხვა საზოგადოებრივ ტრანსპორტთან (მათ შორის მეტროსთან); დიდი დიღმის განვითარებისა და

გაფართოვების პარალელურად, დღის წესრიგში დადგა მოსახლეობის სწრაფი გადაადგილების საჭიროება დედაქალაქის ცენტრის მიმართულებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი მიღწევაა, დიდი დიღმიდან მეტრო/სადგურ „დიდუბის“ მიმართულებით 7,5 კილომეტრიანი ტრამვაის ხაზის მშენებლობის საკითხი. 2026 წლის ბოლოსთვის დასრულებული იქნება პროექტი. ტრამვაის ხაზის დანიშნულება იქნება დიდი დიღმის მიბმა მეტროპოლიტენის ხაზთან. მნიშვნელოვანი და მასშტაბური ღონისძიებაა ახალი საავტობუსო ხიდის მშენებლობა, რომელიც ნაძალადევისა და ჩუღურეთის რაიონებს ერთმანეთთან უმოკლესი გზით დააკავშირებს. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, განხორციელდება დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე საგზაო ნიშნების, შუქნიშნების, ბოძკინტების, ზღუდარების, ბარიერების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია; გარდა ამისა, ზონალურ-საათობრივი პარკირება ნელ-ნელა მოიცავს ყველა რაიონსა და ქუჩას. აღნიშნული ტიპის ღონისძიებები საბოლოო ჯამში გადამწყვეტ როლს ითამაშებს ქალაქის საცობებისგან განტვირთვისა და საავტომობილო ნაკადების რაციონალური გადანაწილების საერთო გეგმაში. ამასთანავე, მოსახლეობას საშუალებას მისცემს გადაადგილდეს კომფორტული, ეკოლოგიურად სუფთა, სწრაფი და შეუფერხებელი სატრანსპორტო საშუალებით.

2026 წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენის შემდგომ ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა და თავისი მოსაზრებები დამსწრე საზოგადოებას გააცნო კომისიის წევრმა **გ. გვენეტაძემ.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 7, თავი შეიკავა - 1, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032534442-03; 10.12.2025)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე